



სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-04/39 5-06 2020

წ.ვ.წ.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგაზაფხულო სემესტრში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის, დამატებით (minor) და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამებზე დასკვნითი საგამოცდო პროცესის, ონ-ლაინ ცენტრალიზებული წესით, ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. შეიქმნას საუნივერსიტეტო საგამოცდო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - როლანდ კოპალიანი- რექტორი (კომისიის თავმჯდომარე)
 - შალვა კირთაძე – რექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
 - თეა კორძაძე – ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
 - იმერი ბასილაძე – სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
 - ოთარ შენგელია - ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახურის უფროსი
 - ლუკა დვალისვილი – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
 - ნანა შონია – ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
 - ნანა ჯულაყიძე – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
 - მამული ბუჭუხიშვილი – პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი
 - ირინა ფხაკაძე – მედიცინის ფაკულტეტის დეკანი
 - ომარ კიკვიძე – საინჟინრო – ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი
 - მაია გრძელიძე - საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი
 - ქეთევან კინწურაშვილი – აგრარული ფაკულტეტის დეკანი
 - ამირან ზრეგვაძე - საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი
 - დავით კეთილაძე - მულტიმედიური ლაბორატორიის ვებ - დეველოპერი
 - ნოდარ ცაგარეიშვილი - ელექტრონული სწავლების კოორდინატორი
2. დასკვნითი გამოცდების ელექტრონული ფორმით (ონ-ლაინ წესით) ჩატარება განხორციელდეს უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული პლატფორმის - Microsoft Teams (Microsoft Forms) და/ან აწესი ელექტრონული სასწავლო პორტალის moodle.atu.edu.ge-ის გამოყენებით, ფაკულტეტის ადმინისტრაციების მიერ წინასწარ შედგენილი ცხრილის შესაბამისად;
3. ფაკულტეტების დეკანატებმა მოახდინონ სტუდენტთა და თანამშრომელთა დროული ინფორმირება დასკვნითი გამოცდების წარმართვის გრაფიკის შესახებ და უზრუნველყონ ჯგუფების ჩართულობა საგამოცდო პროცესში.
4. დაევალოს:

- 4.1. მულტიმედიური ლაბორატორიის ვებ-დეველოპერს, დ. კეთილაძეს და ელექტრონული სწავლების კოორდინატორს, ნ. ცაგარეიშვილს: შესაბამისად, Microsoft Teams-ისა და აწსუ ელექტრონული სასწავლო პორტალის moodle.atu.edu.ge - ის ადმინისტრირება;
- 4.2. ფაკულტეტის დეკანებს: დასკვნითი გამოცდების ცხრილების შექმნა სასწავლო კურსებისა და სალექციო ჯგუფების მიხედვით და ცხრილების შედგენის დროს გაითვალისწინონ, რომ minor პროგრამაზე გამოცდები დაინიშნოს მაინორ პროგრამის დღეებში;
- 4.3. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს: დასკვნითი საგამოცდო საკითხების და ტესტების რამდენიმე ვარიანტის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ელექტრონულად (არა ნაკლებ სამი ვარიანტისა) წარმოდგენა;
- 4.4. დეპარტამენტის ხელმძღვანელებს: აკადემიურ და მოწვეული პერსონალის მიერ წარმოდგენილი დასკვნითი საგამოცდო საკითხებისა და ტესტების სილაბუსთან შესაბამისობის შემოწმება და დამტკიცება.
- 4.5. შემოწმებული და დამტკიცებული დასკვნითი საგამოცდო საკითხების და ტესტების Microsoft Forms - ში და moodle.atu.edu.ge-ზე ატვირთვა აკადემიურმა პერსონალმა მოახდინოს გამოცდის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე და განსაზღვრონ ტესტისა და საგამოცდო საკითხებისათვის საჭირო დროის პარამეტრები სასწავლო კურსის სპეციფიკის მიხედვით:
 - ა. ტესტის შემთხვევაში - ტესტში მოცემულ ერთ კითხვაზე არაუმეტეს ერთი წუთისა;
 - ბ. საგამოცდო საკითხების შემთხვევაში - ერთ საკითხზე არაუმეტეს 30 წუთისა, ხოლო განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მიეცეთ დამატებითი დრო;
5. დასკვნითი გამოცდების Microsoft Teams-ში და moodle.atu.edu.ge-ზე ონ - ლაინ ჩატარების დროს დაცული უნდა იქნას შემდეგი პროცედურული მოთხოვნები:
 - 5.1. დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს ოთხი მეთოდით: ტესტი (ღია და დახურული, ონ-ლაინ, კომპიუტერთან), წერა (საუნივერსიტეტო სივრცეში ფაკულტეტის დეკანებისა და საგამოცდო ცენტრის მიერ), და კომბინირებული (ონ-ლაინ კომპიუტერთან, თუ საწერი საკითხი არ სცდება 4000 სიმბოლოს), როგორც გათვალისწინებულია შესაბამისი საგნის სილაბუსში;
 - 5.2. თუ სტუდენტს შესასრულებელი აქვს ტესტი მათემატიკაში ან ქიმიაში, ასეთი გამოცდა უნდა ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში, ფაკულტეტის დეკანების მიერ დამტკიცებული ცხრილებით, მათი და საგამოცდო ცენტრის ორგანიზებით;
 - 5.3. დასაწერი დასკვნითი საგამოცდო საკითხების შესრულებისათვის განისაზღვროს ორი ფორმა:
 - 5.3.1 თუ სტუდენტის მიერ დასაწერი საკითხი არ აღემატება მოცულობაში 4000 სიმბოლოს (რაც მოიცავს როგორც სასვენ ნიშნებს, ასევე დაშორებას) - ასეთ ტესტში გამოყენებულ იქნას Microsoft Forms ტექსტური პასუხის ველის ფუნქცია (Text) და გამოცდა ჩატარდეს ონ-ლაინ;
 - 5.3.2. თუ სტუდენტის მიერ დასაწერი საკითხის მოცულობა აღემატება 4000 სიმბოლოს, ან სტუდენტს უწევს მათემატიკური ან ქიმიური ფორმულების წერა, ასეთი გამოცდა უნდა ჩატარდეს საუნივერსიტეტო სივრცეში ფაკულტეტის დეკანების მიერ დამტკიცებული ცხრილებით, მათი და საგამოცდო სექტორის ორგანიზებით;
 - 5.4. კომბინირებული დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში, მასზე გავრცელდეს ამ მუხლის „5.2“, „5.3.“ პუნქტების რეგულაციები;
6. დასკვნითი გამოცდების Microsoft Teams-ში და moodle.atu.edu.ge-ზე ონ-ლაინ ჩატარების დროს, სტუდენტმა უნდა დაიცვას შემდეგი ტექნიკური და მინიმალური სისტემური მოთხოვნები:

- 6.1. სტაციონალური (ე.წ. სამაგიდო), ან პორტატული (ლეპტოპი/ნოუთბუკი) კომპიუტერი, მინიმუმ შემდგომი მონაცემებით: windows 7 Sp1; ოპერატიული მეხსიერება 2გბ; ადგილი მყარ დისკზე 300 მბ; ვებ - კამერა; ინტერნეტის სიჩქარე - 500კბ/წ; NetFramework 4.7.2; Microsoft visual studio c++ 2015;
- 6.2. სტუდენტმა საკუთარ კომპიუტერზე უნდა დააინსტალიროს აწსუ-ს მიერ მიწოდებული ტესტირების პროგრამა, რომელიც განთავსებული იქნება მისამართზე <https://online.atsu.ge>;
- 6.3. სისტემაში შესვლისას, სტუდენტმა ავტორიზაცია უნდა გაიაროს კორპორაციული ფოსტისა და აწსუ-ს მიერ მიწოდებული პროგრამის საშუალებით;
- 6.4. სტუდენტმა უნდა ჩართოს კამერა, რადგან კამერის აქტივაციის გარეშე ის ვერ შეძლებს გამოცდის ჩაბარებას აწსუ-ს მიერ მიწოდებული პროგრამის საშუალებით;
- 6.5. სტუდენტმა, Microsoft Teams-ის სისტემაში, უნდა შეიყვანოს გამოცდის კოდი (კოდი 5 სიმბოლოსგან შედგება), რომელსაც ის მიიღებს Microsoft Teams-ში არსებულ ჯგუფში;
- 6.6. Microsoft Teams-ში სისტემაში საგამოცდო კოდის შეყვანის შემდეგ, სტუდენტი ავტომატურად აღმოჩნდება გამოცდაზე. თუ გამოცდა არ არის დაწყებული, ის ეკრანზე მიიღებს შეტყობინებას, გამოცდის დაწყებამდე დარჩენილი დროის შესახებ;
- 6.7. აწსუ-ს მიერ მოწოდებული საგამოცდო სისტემა უზრუნველყოფს:
 - 6.7.1. მალსახმობლების (Shortcut) და ფუნქციური ღილაკების ბლოკირებას (F1,F2...F12; Ctrl+Alt+Del; Alt+Tab; Win ღილაკის ყველა კომბინაცია; Fn ღილაკების ნებისმიერი კომბინაცია; ნებისმიერი კლავიშის კომბინაცია რომლებიც გამოიყენება კოპირების, ამოჭრის, ჩასმისა და სხვა მოქმედებებისთვის და ა.შ.)
 - 6.7.2. ნებისმიერი ტიპის პროგრამული უზრუნველყოფების გამოყენების ბლოკირებას გამოცდის მიმდინარეობის პერიოდში, გარდა კლავიატურის განლაგებისა და ენის შეცვლის ფუნქციისა;
 - 6.7.3. გამოცდის დასრულებამდე დარჩენილი დროის უკუთვლას და ეკრანზე ჩვენებას;
7. ვინაიდან სისტემის მხრიდან მიმდინარეობის გამოცდის მონაწილის IP მისამართების მონიტორინგი, აკრძალულია VPN – Proxy ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ავტომატურად ითვლება დარღვევად და მიეცემა შესაბამისი რეაგირება. ვიდეო მეთვალყურეობის დროს დაფიქსირებული ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი მოქმედება გამოიწვევს სტუდენტის საგამოცდო შედეგების გაუქმებას;
8. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ვერ ჩააბარებენ კომპიუტერთან დასკვნით გამოცდას, დასკვნითი გამოცდები ჩატარდება უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ სივრცეებში 2020 წლის 5 ივლისიდან დეკანების მიერ დამტკიცებული საგამოცდო ცხრილების მიხედვით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ დადგენილი ძირითადი რეკომენდაციების გათვალისწინებით;
9. ფაკულტეტების დეკანებმა დააზუსტონ საგამოცდო ჯგუფების შემადგენლობა და მოამზადონ საგამოცდო პროცესში ჩართულობისათვის დასკვნითი გამოცდის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე, რომლებშიც არ იქნება გამოცდაზე დაშვების უფლების არმქონე არცერთი სტუდენტი (წინაპირობა, სტატუსი და სხვა).
10. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გამოცდის ჩატარების თარიღიდან 3 დღის ვადაში დაევალოთ სტუდენტთა შეფასების შესახებ ინფორმაციის წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებში;
11. დასკვნითი გამოცდების საორგანიზაციო საქმიანობა წარიმართოს ფაკულტეტების ადმინისტრაციების განთავსების ადგილას;

12. დასკვნითი გამოცდები ონ ლაინ ჩატარდეს 15. 06. 2020 – 5. 07. 2020 პერიოდში. ნაშრომების გასწორება დასრულდეს 8. 07. 2020-ის ჩათვლით, სტუდენტთა სააპელაციო განცხადებების მიღება განხორციელდეს 11.07.2020-ის ჩათვლით, ხოლო მათი განხილვა დასრულდეს 15.07. 2020 -ის ჩათვლით;
13. უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის საგაზაფხულო სემესტრის შუალედური გამოცდები დაიგეგმოს ამ ბრძანების მე-12 მუხლით გათვალისწინებული ვადებიდან ერთი კვირის შემდეგ.
14. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის სამსახურს (ო. შენგელია), მატერიალური რესურსების მართვის განყოფილებას (მ.სალინაძე), საგამოცდო სექტორის ხელმძღვანელს (ასოც. პროფ. ლ. ზივზივადეს) ფაკულტეტის დეკანის მოადგილეებს და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით საგამოცდო სივრცის მოწყობა იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ ამ ბრძანების მე-6 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა გამოცდების ონ -ლაინ ჩაბარებისათვის;
15. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით, კომპიუტერული ლაბორატორიების ბაზაზე, მოეწყოს შემდეგი საგამოცდო სივრცეები:
- I კორპუსი, აუდიტორია № 1211 ;
 - I კორპუსი, აუდიტორია № 1118 ;
 - II კორპუსი, აუდიტორია №2205 ;
 - II კორპუსი, აუდიტორია №2207;
 - II კორპუსი, აუდიტორია № 2209;
 - II კორპუსი, აუდიტორია №2302 (მუდლისთვის);
 - II კორპუსი, აუდიტორია №2307 (მუდლისთვის
 - II კორპუსი, აუდიტორია №2310 ;
 - II კორპუსი, აუდიტორია №2405 ;
 - XI კორპუსი, აუდიტორია №11203 ;
 - VII კორპუსი, აუდიტორია №7222 ;
 - VII კორპუსი, აუდიტორია №7306 ;
 - VII კორპუსი, აუდიტორია №7104 ;
 - VII კორპუსი, აუდიტორია №7107 ;
 - VII კორპუსი, აუდიტორია №7109 ;
 - VII კორპუსი, აუდიტორია №7105 ;
 - XX კორპუსი, აუდიტორია №20210 ;
16. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით უნივერსიტეტის პირველ და მე-7 კორპუსში სასწავლო აუდიტორიების ბაზაზე მოეწყოს შემდეგი საგამოცდო სივრცეები:
- I კორპუსი, აუდიტორიები № 1113, №1116, №1117, №1120, №1121, №1122, №1125, № 1126, №1137, №1205, №1208, №1209, №1210, №1212, №1213, №1214, №1229, №1224, №1225, 1226;
 - VII კორპუსი, აუდიტორიები №7101, 7228, 7229, 7316, 7325, 7308, 7206, 7207.

17. უნივერსიტეტის კანცელარიის უფროსმა (ე. ცირეკიძემ) უზრუნველყოს ბრძანების დაგზავნა დეკანატებში, ენათა ცენტრში და შესაბამის სამსახურებში.
18. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (ასოც. პროფ. თ. ვალიშვილი) უზრუნველყოს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება.
19. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე უზრუნველყოს რექტორის მოადგილემ ასოც. პროფ. შალვა კირთაძემ.


რექტორი



პროფ. რ. კოპალიანი

სასწავლო პროცესის მართვის

სამსახურის უფროსი:



იმერი ბასილაძე